**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**სასწავლო კურსის გეგმა (სილაბუსი)**

სასწავლო კურსი – **ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა 1**

სალექციო კურსის კოდი – P.2.K.O2

ლექტორი: **ნანა რჩეულიშვილი,** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი

საკონტაქტო ტელეფონი: 868 67-07-90

E-mail: nrcheulishvili@yahoo.com

საკონტაქტო საათები: ორშაბათი და ხუთშაბათი: 13 სთ, ქართული ფილოლოგიის კათედრა;

კრედიტების რაოდენობა – **ECTS-5**

ხანგრძლივობა: 30 კვირა 250 სთ. აქედან სააუდიტორიო 90 სთ (ლექცია 45, პრაქტიკული 45), დამოუკიდებელი 190. კვირაში ჩატარდება 3 სააუდიტორიო შეხვედრა.

სალექციო კურსის სტატუსი – სავალდებულო.

კურსი ისწავლება მაგისტრატურის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკის სპეციალობაზე, **II** სემესტრებში.

სალექციო კურსის მიზანია თეორიული და პრაქტიკული ჩვევების დანერგვა ქართული ლიტერატურის სწავლების მნიშვნელოვან საქმეში, პროგრამული მასალის განზოგადება და მოსწავლეთა ცნობიერებამდე მიტანა, მათი აზროვნების განვითარება და ჩართვა სწავლების ინტერაქტიულ მეთოდში.

სასწავლო კურსის ამოცანები კურსის მიზანს ემსახურება. ამ ამოცანებს შეადგენს მაგისტრანტებში ქართული ლიტერატურის სწავლების თეორიული და პრაქტიკული ჩვევების დანერგვა, პროგრამული მასალის დამუშავება და მოსწავლეთა ცნობიერებამდე დაყვანა, მათი ჩართვა სწავლების ინტერაქტიულ მეთოდში.

პრერეკვიზიტი – ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსი.

**სწავლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ესმის ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სპეციფიკა, იცნობს მის ძირითად პრობლემებს. | აქვს საფუძვლიანი ცოდნა ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია თეორიული საკითხები გადაიტანოს პრაქტიკაში და პრობლემათა გადაჭრის ახალი გზები გამონახოს. | ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია პირველწყაროების მოპოვება – დამუშავება, სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა კლასში გაკვეთილზე. |
| კომუნიკაციის უნარი | განვითარებული აქვს დამოუკიდებელი თუ ჯგუფური მუშაობის უნარი. დამაკმაყოფილებლად ფლობს უცხო ენას. | ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. |
| დასკვნის უნარი | დაგროვილ ცოდნაზე დაფუძნებით ადეკვატური ანალიზისა და დასკვნის გაკეთება | დებატებისა და დისკუსიების დროს ლოგიკური დასკვნების გაკეთება. |

## სასწავლო კურსის შინაარსი:

I - II კვირა:

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კურსის ამოცანა და მისი ძირითადი ნაწილები.

ჩიჯავაძე, თ. ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საკითხები. გვ.5-8

III- IV კვირა:

ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარების პერიოდები.

ჩიჯავაძე თ. ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საკითხები. გვ. 10-14.

V- VI კვირა:

ეფექტიანი სწავლებისა და სწავლის მართვა. სწავლის სტილი. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები.

(სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის) თბ. 2004. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. გვ. 25-27.

შუალედური წერა.

VII- VIII კვირა:

თანამედროვე სწავლისა და სწავლების თეორიების კავშირი ეფექტიან სწავლასა და სწავლებასთან. ბიჰევიორიზმის, კონსტრუქტივიზმისა და სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიები.

სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები (სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის), თბ. 2004, გვ. 69-73

IX-  X კვირა:

სწავლებისა და სწავლის ორი მიდგომა. ინტერაქტიული სწავლების არსი, მისი ეფექტური მხარეები (იგივე სახელმძღვანელო) გვ. 108-114; გვ. 119-126. კლასის მართვა გვ. 127-131, კლასის მართვის ჰუმანისტ. მოდელები. (ჟურნ. ქართული ენა და ლიტ. 2008. #7, გვ. 23-31).

XI XII კვირა:

მხატვრულ ნაწარმოებზე მუშაობის ხერხები და მეთოდები. ილია ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივი".(ჟურნ. ქართული ენა და ლიტერატურა), 2008, #9, გვ. 3-19)

პრეზენტაციები

XIII- XIV კვირა:

ქართული ენის სასკოლო განმარტებით ლექსიკონზე მუშაობა ტექსტის შესწავლის პროცესში. (ჟურნ. ქართული ენა და ლიტერატურა, 2008, #7 გვ. 3-7.)

შუალედური წერა.

XV კვირა: შემაჯამებელი მუშაობა

## სწავლებისა და სწავლის მეთოდები:

სასწავლო კურსის სწავლების ფორმატი გულისხმობს ლექცია-სემინარებს, წერით გამოკითხვებსა და პრეზენტაციებს.

**მაგისტრანტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:** მაგისტრანტთა შეფასება მოხდება 100 ბალიანი სისტემით.  აქედან 60 ქულა შუალედურ შეფასებებს ეკუთვნის.

1) 2შუალედური წერა წინასწარ მითითებულ რიცხვებში ჩატარდება (თით. – 15 ქ.) საწერი თემა შეირჩევა გავლილი მასალიდან და შეეხება ერთ რომელიმე საკვანძო საკითხს.

2) 4ზეპირი გამოკითხვა (თით. 5ქ. სულ მაქს. 20ქ.)

3) 1 ზეპირი პრეზენტაცია (10ქ) (შეირჩევა სტუდენტის სურვილის მიხედვით), რომელიც შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

ა) თემის გასაგებად წარმოდგენა, 4ქ.

ბ) დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, 4ქ.

გ) ვიზუალური საშუალებების გამოყენება, 2ქ.

ორმოცი ქულა საბოლოო გამოცდას ეკუთვნის. Gგამოცდა წინასწარ შერჩეულ საკითხებზე ზეპირად ჩატარდება.

ძირითადი ლიტერატურა:

1. ჩიჯავაძე, თ. (2001), ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საკითხები.

2. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები (სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის). (2004), საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. წიგნი I.

დამხმარე ლიტერატურა:

1. სასარგებლო რესურსები მასწავლებლებისათვის (2008), ნაწ. II, საქ. განათ. და მეცნიერების სამინისტრო.

2. ნუგზარ მუზაშვილი, ლიტერატურული კომენტარები (2008), დამხმარე მასალა პედაგოგებისათვის.

დამატებითი ლიტერატურა:

3. ჟურნალი ,,ქართული ენა და ლიტერატურა" (2008), #7, 9, მეთოდური ჟურნალი პედაგოგებისათვის.

4. ქართველი მწერლები სკოლაში 1-14 ტ.

5. მასწავლებელთა თანამშრომლობა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბუკლეტი.

მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია თესაუს ბიბლიოთეკაში, თელავის საქალაქო ბიბლიოთეკაში, აგრეთვე შემდეგ ინტერნეტ მისამართზე: წწწ.გოოგლე.ცომ, წწწ.გოოგლე.გე